# ინტელექტი - II ტური
# მე-4 კლასი

**ვერბალური ნაწილი:**

1. დაალაგე მოცემული სიტყვები ანბანური თანმიმდევრობით: ბულბული, ნიბლია, ბელურა, შოშია, კოდალა, კოლიბრი.
   ა) ბელურა, ბულბული, კოლიბრი, კოდალა, ნიბლია, შოშია
   ბ) ბულბული, ბელურა, კოდალა, კოლიბრი, ნიბლია, შოშია
   გ) ბელურა, ბულბული, კოდალა, კოლიბრი, ნიბლია, შოშია
   დ) შოშია, ნიბლია, კოლიბრი, კოდალა, ბელურა, ბულბული

2. მოცემულია სიტყვათა წყვილი: ნამუსი : უნამუსო.
   შეარჩიეთ ანალოგიური წყვილი:
   ა) ფერი : უფერო ბ) კალამი : ფანქარი
   გ) ჩუმი : ხმა დ) ლამაზი : უშნო

3. აირჩიეთ ისეთი სიტყვები, რომლებიც ამ წინადადებას სწორად და აზრიანად შეავსებს: მართალია მოცვი ____________ გემრიელია, მაგრამ ის ძალიან __________________ ჯანმრთელობისთვის.
   ა) ძალიან / კარგია
   ბ) ნაკლებად / ცუდია
   გ) ხანდახან / ლურჯია
   დ) არც ისე / კარგია

**ლოგიკა:**

4. გუშინ წინ იყო ხუთშაბათი. რა დღე იქნება მაზეგ?
   ა) სამშაბათი ბ) ორშაბათი გ) შაბათი დ) კვირა

5. ნია, სოფო, ნიკო, თომა და სანდრო 8-სართულიანი სახლის სხვადასხვა სართულზე ცხოვრობენ. ცნობილია, რომ
   - ნიკოს გარდა ყველა ლუწ სართულზე ცხოვრობს
   - თომა ცხოვრობს ნიაზე დაბლა, მაგრამ სოფოზე მაღლა
   - სანდრო ცხოვრობს მე-8 სართულზე

   რომელ სართულზე ცხოვრობს თომა?
   ა) მეორე ბ) მეოთხეგ) მეექვსედ) პირველი

6. ბებია 65 წლისაა, ხოლო შვილიშვილი 9 წლის. რამდენი წლის შემდეგ იქნება ბებია შვილიშვილზე 5-ჯერ დიდი?
   ა) 10 წლის შემდეგ ბ) 3 წლის შემდეგ
   გ) 15 წლის შემდეგ დ) 5 წლის შემდეგ

**ვიზუალური აღქმა**

7. აირჩიეთ რა უნდა ეხატოს კითხვის ნიშნის ნაცვლად:




ა)    ბ)    გ)    დ)

8. აირჩიეთ რა უნდა ეხატოს კითხვის ნიშნის ნაცვლად:




ა)    ბ)    გ)    დ)

9. რომელი ნაწილია ამოჭრილი სურათიდან?




ა)    ბ)    გ)    დ)